პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 135 (11441)
შაბათი
13
ივნისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეგობრობის მიტინგი

რიგა, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს კულტურისა და დასვენების თვალწარმტაც პარკში, რომელიც კიშ-ტის ნაპირზე მდებარეობს, გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნას რიგაში.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-პრეზიდენტმა კ. პლაუდემ და სხვებმა.

მიტინგზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მიტინგი გადაიქცა საბჭოთა და გერმანელი ხალხების მტკიცე, ურღვევი მეგობრობის აღმაფრთოვანებელ დემონსტრაციად.

ახალგაზრდობის სტარტი

დღეს თბილისში „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში იხსნება საქართველოს სსრ მეორე სპარტაკიადა. იგი იქნება ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მიღწევების, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის დიდი დათვალიერება. რესპუბლიკური სპარტაკიადა გენერალური რეპეტიციაა მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის წინ. მასში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის 24 სახეობის წარმომადგენლები. ძლიერთა შორის უძლიერესთ წილად ხვდებათ დიდი პატივი — დაიცვან საქართველოს სპორტული ღირსება მომავალ საკავშირო სპარტაკიადაზე.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს აღიჭურვონ ახალი ენერგიით სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომისათვის.

პარტიის XXI ყრილობამ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა დასახა. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, — განსაკუთრებით პროფკავშირებსა და კომკავშირს, აუცილებელი აღარ არის ფიზკულტურისა და სპორტისადმი ხელმძღვანელობა თავმოყრილი ყოფილ სახელმწიფო ორგანოებში. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე აღნიშნავდა:

„დღემდე ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელობას ჩვენს ქვეყანაში ახორციელებდა სახელმწიფო ორგანო — ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი. ახლა ნაპოვნია ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციის უფრო მიზანშეწონილი ფორმა, რომლის დროსაც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ფიზკულტურულ მოძრაობაში მონაწილეობენ“.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სასპორტო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირი, რომლის პირველი დამფუძნებელი რესპუბლიკური კონფერენცია მიმდინარე წლის მარტში გაიმართა. ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელობის გარდაქმნითაც ეხსნება, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სასპორტო საზოგადოებების, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა შესამჩნევად გამოცოცხლდა. ამას მოწმობს წელს გამართული რაიონული, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადები. ამ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა ფიზკულტურელმა, რომლებიც წარმატებით ახამებენ წარმოებაში მუშაობას და სასპორტო მეცადინეობას. შეჯიბრებათა მსვლელობაში გამოვლინდნენ ახალგაზრდა უნარიანი სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში.

ამასთან რაიონულმა, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადებმა გვიჩვენეს, რომ სპორტის ზოგიერთი სახეობა კვლავ ჩამორჩება. ეს აიხსნება უმთავრესად სპორტსმენთა შორის საწვრთნელი და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცუდად დაყენებით, მწვრთნელებისადმი არასაკმაო მომთხოვნელობით, შეჯიბრებათა დაბალი კულტურით. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო სპარტაკიადა შემოფარგლული იყო სპორტის მხოლოდ 7 სახეობით. ამ მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ცხენოსნებს, ველოსიპედისტებს, მცურავებს და სხვ.

საბჭოთა სპორტის ძალა მის მასობრიობაშია. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში 110 ათასი კაცით გაიზარდა იმათი რიცხვი, ვინც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მისდევს. აიგო ათასობით სასპორტო ნაგებობა, შეჯიბრებათა მონაწილეების რიცხვი ნახევარი მილიონი კაცით გადიდდა.

მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა მაღალ დონეზე დგას. მისაბაძია თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამმართველოს, 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, საქართველოს ს. მ. კროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა. რესპუბლიკის ფიზკულტურულ კოლექტივებში, რომლებიც თავიანთ რიგებში 436.178 ახალგაზრდას აერთიანებენ, დიდი რეზერვებია კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდებისა, რომლებსაც სათანადო წვრთნის შედეგად შეუძლიათ დაიცვან რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

ფიზკულტურა და სპორტი ცოცხალი შემოქმედებითი საქმეა. ფიზკულტურული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით დგიდგებენ მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებას. ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა ჩოხატაურისა და კასპის რაიონების კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ახალგაზრდობამ, რომელმაც სერიოზული ვალდებულებები იკისრა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ეს ვალდებულებანი წარმატებით სრულდება.

ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისთვისაც სერიოზული გამოცდა იქნება. სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა რესპუბლიკურმა კავშირმა, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ამ დიდ მოვლენას ჩვენი სპორტსმენები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ.

140.000 ტონა ჩაი

შეჯიბრებაში ჩაბმულ რაიონებში

11 ივნისი

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 380,2 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 11.822 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 2.002 ტონით მეტი.

ქობულეთის რაიონის მშრომელებმა მოკრიფეს 270 ტონა ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 6.940 ტონა, ანუ შარშანდელთან 340 ტონით მეტი.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 180 ტონა ჩაი, სეზონის დაწყებიდან — 7.965 ტონა.

მოწინავე მეჩაიე

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ახალგაზრდა მკრეფავმა ნიურა ადლეიბამ, რომელიც ყოველდღიურად 95-105 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მას დღემდე მოკრეფილი აქვს 2,2 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ნ. ადლეიბამ იკისრა მოსავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარ პლანტაციაზე გეგმით გათვალისწინებული 2.250 კილოგრამის ნაცვლად სეზონის მანძილზე მოკრიფოს სულ მცირე 7.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ვ. დოხნაძე,
სოფლკორი.

მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ“-ის წევრი ხაშუალო სკოლადამთავრებული ნათელა თავდუმაძე ჩაის ფოთლის კრეფის უოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

სურათზე: ნ. თავდუმაძე ჩაის პლანტაციაში.

ფოტო კ. ვაჩიბერიძისა.

(სურათი წარდგენილია ფოტოკონკურსზე)

მათი სიტყვა და საქმე

დიდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობაა ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მესამე ბრიგადის ბრიგადის მე-14 და მე-15 ბრიგადები, რომლებმაც ჩაის კრეფის მაისის დავალება ვადამდე შეასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს დიდძალი ნედლეული. ახლა ეს ბრიგადები იბრძვიან იმისათვის, რომ ივნისის დავალება ამ თვის შუა რიცხვებისათვის შეასრულონ.

მისაბაძია მე-14 ბრიგადის მუშების ანა და მარიამ მნოიანების, ვერა და ისაკან ეფრიკიანების და ელო არობიანის მუშაობა. ისინი დღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ. ბრანაკლები მაჩვენებლები აქვთ №15 ბრიგადის მუშებს ვ. პოტიტნიაკოვს, თ. სირაძეს, ა. მარინიანს, მ. ანტონიანს. კომუნისტი ისაკან პინჯოიანი ყოველდღიურად 90-100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

მ. თენიეშვილი,
ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

დეკუტატ მეჩაიეთა შეჯიბრება

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მახარაძელთა მიმართვამ მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. აფხაზეთში შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა ყოლბაია და ახიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ცნობილი მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარრონა ლეონტიევა. ციალა ყოლბაიამ შარშან მოკრიფა 7.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო მატრონა ლეონტიევამ — 8.300 კილოგრამი. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან. თვითეულმა მათგანმა იკისრა სეზონში მოკრიფოს ცხრა ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. პირველ დღესვე ციალა ყოლბაიამ მოკრიფა 75 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა, ხოლო მატრონა ლეონტიევამ — 82 კილოგრამი.

ამჟამად უკვე თვითეული მათგანის ანგარიშზეა 2.000 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი.

ც. ყოლბაიას და მ. ლეონტიევას მაგალითს მიბაძეს გალის, ოჩამჩირის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების მეჩაიეებმა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავებმა ვალენტინა ადლეიბამ და ნორა კვიწინამ ერთ დღეში მოკრიფეს 80-95 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო სოფელ ბესლახუის კოლმეურნეობა „შრომის“ მეჩაიემ თათუშა გოგუამ — 103 კილოგრამი.

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

ბათუმი. **გოგუცა ბალაძემ** სოფელ ფერიის კოლმეურნეობაში მოკრიფა 56 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, **გული დიასამიძემ** — 67 კილოგრამი. **ნაიმე ფალავამ** ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაი, **ნაიმე წერეთელმა** კი — 50 კილოგრამი. **ნაფიე ლორთქიფანიძე** ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, მან მოკრიფა 40 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა. **თუნთულ თებიძემ** მოკრიფა 57 კილოგრამი.

ქობულეთი. **გული ქათამაძემ** სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობაში მოკრიფა 79 კილოგრამი ჩაი, ნაცვლად 25 კილოგრამისა, **ეუფუნა ევგენიძემ** — 50 კილოგრამი; **ემინე თხილაიშვილმა** სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 124 კილოგრამი ჩაი, **ბესარიე ბაჯელიძემ** — 132 კილოგრამი. **ირაკლი ხიონიდიმ** ზედა კვირიკეს კოლმეურნეობაში მოკრიფა 110 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო **მიხეილ პოპანდოპულომ** — 73 კილოგრამი.

ხობი. **ციალა ჭილაიამ** სოფელ ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფა 120 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 30 კილოგრამისა.

ლენინის ორდენის გადაცემა

კიროვოგრადი, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში წარმატებების გამო ოლქისათვის ლენინის ორდენის გადაცემასთან დაკავშირებით აქ გაიმართა უკრაინის კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით დამსწრეთა ტაშის გრიალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. მუხიტდინოვმა ჯილდო გადასცა ოლქის წარმომადგენლებს.

გულითადი შეხვედრა ჩინელ მეგობრებთან

12 ივნისს ჩინელმა სტუმრებმა ინახულეს ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. ამ საწარმოს კოლექტივი არის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების დაარსებელი. ქარხნის ხელმძღვანელებმა, მუშებმა დელეგაციის წევრებს უამბეს თავიანთ წარმატებაზე შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში. მათ აღნიშნეს, რომ საბჭოთა ადამიანებს სულითა და გულით უხარიათ ჩინელი ხალხის გამარჯვება სოციალიზმის მშენებლობაში.

სასიხარულო იყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრებისა და აქტივისტების შეხვედრა ძვირფას სტუმრებთან. შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, მოვიდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩინელ სტუმრებს გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე კომპოზიტორი შ. მშველიძე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი კრებას გაუზიარეს პროფესორმა ნ. ანთელავამ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკელმა.

დიდი ინტერესით მოისმინეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურის პროფესორ ცაო ძინ-ხუას სიტყვა.

დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებას საჩუქრად გადასცა აბრეშუმზე ოსტატურად ამოქარგული კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, აგრეთვე მთელი რიგი სუვენირები.

დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებთან შეხვედრამ ცხადყო მომეი ხალხთა ურღვევი მეგობრობა. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რიგიდან გაემგზავრა

რიგა, 12 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა ლატვიის დედაქალაქში მეგობრული ვიზიტით სტუმრად იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. ლატვიელმა ხალხმა გულითადი ძმური მიღება მოუწყო სტუმრებს. დღეს დილით ათასობით რიგელი გამოვიდა ქუჩებში გერმანელი ხალხის წარმომადგენელთა გასაცილებლად.

რიგის აეროპორტში შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლნი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

აეროდრომზე ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ე. კალნბერზნინმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ულბრიხტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებთან ერთად რიგიდან წავიდნენ მათი თანმხლებნი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი, აგრეთვე გერმანელი ჟურნალისტები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია კიევში

კიევი, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქში განსაკუთრებული გულითადობით შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში.

13 საათისთვის აეროდრომზე საპატიო სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანასტასი ფ. რ. კოზლოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები მ. ს. გრეჩუხა, ნ. მ. გურეევი, ნ. ტ. კალჩენკო, ნ. ვ. პოდგორნი, მინისტრები, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, კიევის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

გერმანელი მეგობრები — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გროტეოლი და სხვა გერმანელი სტუმრები ჩამოდიან თვითმფრინავიდან და მაგრად ართმევენ ხელს შემხვედრებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მხურვალედ მიესალმნენ აეროდრომზე შეკრებილნი. ხალხური ტრადიციის მიხედვით ამხანაგ ვ. ულბრიხტს პურმარილი მიართვეს.

გერმანელ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნინმ. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა.

აეროდრომიდან მიმავალ გერმანელ სტუმრებს და საბჭოთა ხელმძღვანელებს გულითადად მიესალმა კიევის ათეულ ათასობით მშრომელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ მიიღო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია

12 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ მიიღო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია.

დარბაზობის დროს გაიმართა მეგობრული, ამხანაგური საუბარი. სტუმრების თხოვნით გ. ს. ძოწენიძემ უამბო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პერსპექტივებზე შვიდწლედში, რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლაზე შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

დელეგაციის წევრებმა მისცეს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებიც შეეხებოდა მრეწველობის მუშაობას რესპუბლიკის ბიუჯეტს, მეჩაიეობის განვითარებას, ჩაის პლანტაციების დამუშავების მექანიზაციას.

ჩინელმა ამხანაგებმა ილაპარაკეს საქართველოში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მათ განაცხადეს, რომ ნახეს, თუ რა შთაგონებით და თავდადებით ახორციელებენ რესპუბლიკის მშრომელნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ბ. ა. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. მიქელაძემ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ა. ქორორაძემ, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ შ. მ. მშველიძემ.

საუბარს დაესწრნენ დელეგაციის თანმხლები პირნი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის განყოფილების გამგე ვ. ი. დანილოვი და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის სრულიად საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი ი. ვ. ნოვგოროდსკი (საკდესი).

ანგარა ერთ-ერთი უველაზე დიდი და ბობოქარი მდინარეა ციმბირში. ამ ოთხი წლის წინათ ზოგიერთი უცხოელი ანგარაზე ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას „ანგარის ფანტაზიის“ უწოდებდა. მაგრამ დღეს უველასათვის ნათელია, თუ რა ძალა შესწევთ საბჭოთა ადამიანებს. ჰიდრომშენებლებმა მტკიცე სიტყვა მისცეს სამშობლოს, რომ 1961 წლისათვის მწყობრში ჩააყენებენ ბრატსკ-ტაიშეტის სამრეწველო კვანძის ენერგეტიკული გულის — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის პირველ აგრეგატებს. ამჟამად კი ანგარის მთელი კალაპოტის „ხელში ჩასაგდებად“ მიმდინარეობს დაუცხრომელი გიგანტური შრომა.

სურათზე: ირკუტსკის ოლქი. ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო მინეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ

სალამოა. მზისგან შერუჯული კოლმეურნეები მინდვრიდან სოფლად ბრუნდებიან. ფერმის წითელ კუთხეში თავს იყრიან მეცხოველეები. მიმდინარეობს პარტიული ჯგუფის ღია კრება, რომელზეც განიხილავენ ფერმის მუშაობის პირველი კვარტალის შედეგებს.

ფერმის გამგე ოთარ ქელეხსაშვილი მეცხოველეებს მოუთხრობს იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველე კომუნისტებმა შეასრულეს. იგი ასახელებს წველადობის მიღწეულ მაჩვენებლებს, მოწინავე მეცხოველეებს, ნამატის გაზრდისათვის აქტიურ მებრძოლებს.

— ფერმაში ამჟამად 270 ძროხაა. შესრულებულია პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა. პირუტყვი გაუმჯობესებული ჯიშისაა. — ამბობს მომხსენებელი.

წველადობა განუხრელად იზრდება. შარშან ერედველებმა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 2.005 ლიტრი რძე, მთლიანად გაზარდეს ნამატი.

წელს პირველ კვარტალში მათ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 370 ლიტრი რძე; ეს 60 ლიტრით მეტია იმაზე, რაც შარშან ამავე პერიოდისათვის იყო მიღებული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. საბანოვამ შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.213 ლიტრი რძე მიიღო. კარგად მუშაობენ ახალგაზრდა მწველავი ვარდი საბანოვა, მანია საბანოვა და სხვები.

მაგრამ ფერმის პარტიული ჯგუფი ამ მაჩვენებლებით როდი კმაყოფილდება. ფერმაში წელს ახალგაზრდობის მძლავრი ნაკადი მოვიდა. ესენი არიან ე. ბერუაშვილი, მ. ქასაევა, ლ. ბერუაშვილი, ჰ. ხადური და სხვები. კომუნისტები მტკიცედ ეყრდნობიან ახალგაზრდა კოლმეურნეებს. მათ მოსავლიდან ძროხები მიუჩინეს, დახმარებისათვის გამოცდილი მეცხოველეები მიამაგრეს. ზოგიერთი მათგანის ენერგიული შრომის შესახებ რამდენჯერმე დაიწერა ფერმის კედლის გაზეთ „მეცხოველის ხმაში“. ახალგაზრდა მწველავებს დახმარებას უწევს ფერმის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც 12 ახალგაზრდას აერთიანებს.

წელს პარტიულმა ჯგუფმა საბრძოლო ამოცანა დაისახა — უზრუნველყოს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.500 ლიტრი რძის მიღება და მთლიანად გაზარდოს ნამატი. შვიდწლედის ბოლოსათვის თვითეული ძროხის წველადობა კიდევ 500 ლიტრით გაიზრდება. ამასთან ძროხების სულადობა აყვანილ იქნება 320-ამდე. ცალკეულ მწველავთა ვალდებულებაა თვითეულ ძროხაზე მიიღონ 3.000-3.200 ლიტრი რძე.

ფერმის პარტიულ ჯგუფს მეცხოველეობაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ ახალი ამოცანები უკეთესად მუშაობას მოითხოვს.

— ამ ამოცანების შესასრულებლად მთავარია შემდგომ განვამტკიცოთ პირუტყვის საკვები ბაზა, უხვი და მრავალფეროვანი გავაძლიერთ კვების რაციონი, კიდევ უფრო კეთილმოვაწყოთ ფერმა, ნაკლებად პროდუქტიული პირუტყვი შევცვალოთ მაღალპროდუქტიულით, — ამბობს ფერმის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი ა. ბერუაშვილი.

თივას ერედველები ძირითადად პატარა ლიახვის ხეობაში, წითორის მთაზე ამზადებენ. იქ მუშაობს საკვებმომპოვებელი ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ალექსი საბანოვი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადასვე აკისრია 350 სული მოზარდეულის მოვლა. წილს 25 კოლმეურნე იმუშავებს მთაში თივის აღებაზე, აქვე ჩაიდება სილოსი მოზარდეულისათვის. ეს დიდი დავალებაა. ამიტომ ფერმის პარტიული ჯგუფი ხშირად მსჯელობს მთაში მყოფი მწყემსების საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობებზე. მწყემსები დროულად იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ბროშურებს, უზრუნველყოფილი არიან კულტინვენტარით. გათვალისწინებული აქვთ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ჩადონ 15 ტონა სილოსი.

ფერმის მიდამოებში, სადაც უხვად არის გაბნეული პირუტყვის ნაკელი, კომუნისტების ინიციატივით დაითესა საკვები ჭარხალი, გოგრა და ნეხვი. მალე დაირგება საკვები ჭარხალი, გოგრა, ნეხვი. საკვები კომბოსტო.

ფერმის სამზარეულოში დაიდგა საკვების დასაქუცმაცებელი და შესამზადებელი მანქანები. წელს მასობრივად მოეწყობა ჩალის დაფქვა და მწვანე საკვებთან შეზავება.

ფერმის პარტიული ჯგუფი იბრძვის პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდისათვის. ფერმაში ფართოდ გამოეხმაურნენ საგარეჯოელთა მოწოდებას კოლმეურნეთაგან პირუტყვის შესყიდვის შესახებ. ერედვის ფერმისათვის 100 სული ხბო იყიდეს. მათთვის მოეწყო ცალკე სადგომი. გამოიყო მომვლელები. ამ მოზარდეულის ნაწილი წილს მისცემს რძეს კოლმეურნეობას.

როცა ფერმის პარტიული ჯგუფის ირგვლივ საგარეჯოელ კოლმეურნეთა მიმართვას განიხილავდნენ, კომუნისტებმა ბევრი საკუთარი ფერმის კოლეგა დააყენეს. ამ საკითხი დააყენეს. აქვე გადაწყდა, რომ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა ორჯერ გადიდდეს ხორცის წარმოებას. კომუნისტ ქ. ბერუაშვილის წინადადებით უახლოეს ხანში დაიწყება შრომადღეებზე რძის ავანსის გაცემა. კოლმეურნეები რძეს მიიღებენ ბინებში. ავტომანქანაზე მოწყობილი ცისტერნებიდან.

ასე ბეჯითად, მონდომებით იბრძვიან ერედველი კომუნისტები მეცხოველეობის დარგში მშობლიური პარტიის მიერ დაყენებული ამოცანების შესასრულებლად. ამ დღეებში ფერმის მუშაკები პარტიული ჯგუფის წინამძღოლობით იბრძვიან, რომ მიტირძე მისცენ სამშობლოს. შექმნან მტკიცე საკვები ბაზა და ამით უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულება.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝᲒᲓᲜᲔᲜ ᲭᲔᲘᲠᲜᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲙᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ-ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲡᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ.

მეურნეობამ გეგმით წელს თვითეულ ცხვარზე საშუალოდ უნდა მიიღოს 4 კილოგრამი მატყლი. ჯერჯერობით ადრე გაზაფხულზე გაპარსული 5.500 სული ცხვრიდან მიღებულია 4 კილოგრამი ხარისხოვანი მატყლი თვითეულზე.

— ეს მხოლოდ ნაწილია იმ სასიხარულო შედეგებისა, რასაც ჩვენ მოველით მიმდინარე წელს, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა გიორგი დალაქიშვილმა.

ᲠᲘᲗᲐᲪ ᲔᲚᲓᲐᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲧᲝᲛᲒᲔᲜ

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის პირველი და ძირითადი მიზანია ახალი ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ჯიშის ცხვრის მოშენება და გავრცელება. ჩვენს თანამგზავრს დაეებადა კითხვა:

— კი მაგრამ, პირველად საიდან შემოიყვანეთ ასეთი ჯიშის ცხვარი?

მეურნეობის მუშაკებს გაეღიმათ. ალბათ გულუბრყვილოდ მიიჩნიეს ასეთი კითხვა. მაგრამ პასუხი მაინც არ დაუყოვნებიათ:

— შემოყვანით არსაიდან არ შემოგვიყვანია. ამ ჯიშის ცხვარი პირველად ჩვენს მეურნეობაში დაიბადა.

— როგორ?!

— ხომ გაგიგიათ ცნობილი სელექციონერი ნოვატორი ივანე ალექსის-ძე ბაძოშვილი? სწორედ ის გახლავთ ამ ძვირფასი ჯიშის ცხვრის გამოყვანის ავტორი...

ივანე ბაძოშვილმა დიდი დრო მოანდომა ამ ახალი ჯიშის ცხვრის გამოყვანასს.

სელექციონერმა თავიდანვე მიზნად დაისახა გამოეყვანა ისეთი ცხვარი, რომელიც მოგვცემდა ნაზშერონოსელი ტიპის მატყლს, ტანად დაემგვანებოდა თუშურ ცხვარს და ექნებოდა თუშური ცხვრისათვის დამახასიათებელი დუმა. ამასთან ისეთი ჯიშის ცხვარი კარგად უნდა შეგუებოდა საქართველოს მაღალმთიან საძოვრებს, აეტანა გრძელი გზა და მომთაბარეობის რთული პირობები.

თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდა ი. ბაძოშვილს, რომ დასახული მიზნისათვის მიეღწია. თავისი თავდადებული, დაუღალავი, შემოქმედებითი შრომით, ბოლოს და ბოლოს, ბაძოშვილმა გადალახა ყოველგვარი სიძნელე და მიაღწია დიდ გამარჯვებას — გამოიყვანა ახალი ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ჯიშის ცხვარი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოყოფილმა ავტორიტეტულმა კომისიამ აკადემიკოს-ლ. კ. გრებენის ხელმძღვანელობით 1957 წლის აპრილში შეამოწმა ი. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ცხვრის საჯიშე-სანაშენო და პროდუქტიული თვისებები და მაღალი შეფასება მისცა მას. კომისიამ აღიარა ი. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ცხვარი, როგორც ახალი, დამოუკიდებელი ცხვრის ჯიში და მიზანშეწონილად ჩათვალა მისი წარდგენა ზემდგომ ორგანოებში დასამტკიცებლად.

1958 წლის იანვარში აკადემიკოსმა ა. ი. ნიკოლაევმა ი. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ცხვარი დაათვალიერა ადგილზე ელდარის მეურნეობაში, აგრეთვე შეამოწმა ძროხილის მაუდკამოლის კომბინატში აღნიშნული ცხვრის მატყლისაგან მიღებული ქსოვილები და სრული კმაყოფილება გამოთქვა როგორც ახალი ჯიშის ცხვრით, ისე მისი მატყლის ხარისხით. გასული წლის 4 აგვისტოს კი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა ცხვრის ახალი ჯიში, რომელსაც სახელად ეწოდა „ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვარი“.

ამ შესანიშნავი წარმატებით სამართლიანად ამაყობენ ელდარელები.

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲬᲧᲕᲔᲢᲔᲜ ᲣᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ

მეურნეობის განკარგულებაშია 24.400 ჰექტარი მიწის ფართობი. ამ ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილია საძოვრებისათვის, ხოლო დანარჩენზე მარცვლეული და საკვები კულტურები ითესება.

არც ტექნიკის მხრივ არის ცუდი მდგომარეობა.

— რამდენი ტრაქტორი და კომბაინი გაქვთ? — შეეკითხეთ მეურნეობის მთავარ აგრონომს აპოლონ ჯანჯღავას.

— ბოდიში, ბატონო, ახლავე ბუხჰალტერიაში აღრიცხვის ფურცელს ვნახავ და მოგახსენებთ...

ჩვენ გაგვიკვირდა აგრონომის ასეთი „გულმავიწყობა“. იგი გუშინ კი არ მოსულა მეურნეობაში. როგორც იტყვიან, „კადრის“ სპეციალისტად ითვლება. ისევ მეურნეობის დირექტორი ამბობ, დალაქიშვილი წამოეშველა აგრონომს. მეურნეობის განკარგულებაშია 39 ყველა მარკის ტრაქტორი, 24 კომბაინი და 43 ავტომანქანა.

როგორც გამოირკვა, მეურნეობას არა ჰყავს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი — ინჟინერ-მექანიკოსი, რომელიც ამ მძლავრ ტექნიკას მოვლა-პატრონობას გაუწევდა. ხშირია მექანიზატორთა კადრების ცვლებადობა. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება კარზეა მომდგარი, მეურნეობას კი აკლია 5 კომბაინერი, მეშტურვალე, რამდენიმე ტრაქტორისტი და სხვა მანქანაზე მომუშავენი. განა რა გაჭირდა ისეთი, რომ ერთი-ორი ინჟინერ-მექანიკოსი ველარ გამოიძებნა ამ მეურნეობაში გასაგზავნად?

მარტო ამ დარგის კადრებზე როდია ასეთი ნაკლებობა. თვითონ მეცხვარეობის ბრიგადებში ცოტანი არიან კვალიფიციური მწყემსები, ბრიგადირებად მეტწილად მცირემცოდნენი მუშაობენ, მაშინ როცა ეს მეურნეობა საჯიშე მეურნეობად არის ცნობილი. თვითეულ ბრიგადაში კვალიფიციური ზოოტექნიკოსები უნდა მუშაობდნენ ხელმძღვანელებად, ხოლო მწყემსებად გამოცდილი, ამ დარგის მოსიყვარულე და ულუმპატკივარი ადამიანები. დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებანი განუხორციელებიათ ბრიგადებისა და მეურნეობის სხვა დარგების მომზადებული კადრებით დასაკომპლექტებლად. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მეტწილად აქ დროებით სამუშაოდ ჩამოსულნი არიან. საჭირო კია გაიზარდოს შედგმივ მესაოვრეთა რაოდენობა მაღალმთიანი რაიონებიდან მსურველთა აქ დასახლებით. მაშინ ადგილი აღარ ექნება კადრების დენადობას.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

არა, ტრიბუნაზე არავინ გამოსულა, არც რომელიმე თათბირზე წარმოთქვამს ვისმე ეს სიტყვები. როცა ადგილზე გაეცანით ყველაფერს, წარმოვიდგინეთ ელდარის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელი თუ როგორ წარმოთქვამდა საბჭოთა მეურნეობების ტრესტში გამართულ თათბირზე სიტყვას მოსავლის აღების წინ.

ქერი ასაღებია 1.700 ჰექტარზე, ხორბალი 2.100, ჭვავი — 600, ხოლო შვრია—100 ჰექტარზე. ამას გარდა უნდა დამზადდეს 600 ტონა თივა, 3.000 ტონა ნამჯა, 4.000 ტონა სილოსი.

ხუთრამდა საქმე არ არის, ერთ კვირაში მასობრივად დაიწყება მოსავლის აღება! ბალახის თიბვა და სილოსის ჩადება კი კვირეულია. სამწუხაროდ, მეურნეობის „მთელი ტექნიკა როდია მუშაობაში ჩართული.

„ბელარუსის“ მარკის ოთხი ტრაქტორიდან ორი გაჩერებულია საბუქსირების უქონლობის გამო. არა აქვთ სათიბი მანქანების ცელები და თითები, აკლიათ ფოცხები, თივისა და ნამჯის შემგროვებელი კაბდოები. თივისა და ნამჯის საწნეხი 4 აგრეგატი ვერ იქნება გამოყენებული იმის გამო, რომ მეურნეობას ამისათვის საჭირო მაგთული სრულებით არ გააჩნია.

ეფიქრობთ ოფიციალურ თათბირებზე უთქმელ ამ სიტყვებს ერთგვარ ანგარიშს გაუწევენ ტრესტში და მეურნეობას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი ნაწილითა და ინვენტარით, რაც საჭიროა ათასობით ჰექტარზე თავთავიანი და საკვები კულტურების ასაღებად, სილოსის ჩასადებად.

ელდარის მეურნეობის კოლექტივს სერიოზული ვალდებულებები აქვს ნაკისრი მიმდინარე შვიდწლედში. კოლექტივის წინაშე გადაშლილია ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ფართო ასპარეზი. იმისათვის, რომ იგი სანიმუშო მეურნეობა იყოს მთელ რესპუბლიკაში, ამ კოლექტივს დასჭირდება მთელი ძალღონე დაძაბოს ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

ა. კოკილაშვილი,
ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მეურნეობის დირექტორი გ. დალაქიშვილი ერთხელ კიდევ ამოწმებს სელექციონერ ი. ბაძოშვილის მიერ გამოყვანილი ქართული ნაზმატყლიანი ჯიშის ყოჩებს მოსკოვში გამოფენაზე გაგზავნის წინ.
ფოტო მ. თელიაშვილისა.



ᲔᲚᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲘᲜᲕᲚᲐᲨᲘ

ᲡᲔᲚᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲖᲘᲡ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲨᲔᲠᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იაკობ შერგელაშვილი უბნის მუშაობის შედეგებს აჯამებდა, როცა მასთან განყოფილების მორიგე დავით ფხაკაძე შევიდა.

— როგორ არის საქმე, იაკობ? — შეეკითხა იგი.

— ცუდად ვმუშაობთ. ხაურიდან მოსული მატარებელი ზესტაფონიდან სამტრედიაში იგზავნება სრულიად უცვლელად. თვითეული ასეთი მატარებლის წონა 1.800-2.000 ტონას არ აღემატება. ამ უბანზე კი თავისუფლად შეიძლება 2.500-ტონიანი მატარებლის წაყვანა.

— შენი აზრით რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

— პირველ რიგში საბჭოთა ზ'ტაფონის სადგურის ზოგიერთი ლიანდაგის ელექტროფიცირება, ზესტაფონსამტრედიის უბნის კეთილმოწყობა, მცირე სიმძლავრის სამანევრო ლოკომოტივით შეცვლა.

...შერგელაშვილმა კარგად იცის, რომ წარმატება თავისთავად არ მოდის, ის შეუპოვარი ბრძოლით უნდა მოიპოვო. განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, რის შედეგად უკეთ მოეწყო შრომის ორგანიზაცია, დაირღვა შეზღუდული ნორმები.

შერგელაშვილის დღიურში ეკითხულობთ: ზესტაფონის სადგურის მორიგის ს. ფხაკაძის ცვლამ სადგურის დისპეტჩერის მ. მესხიშვილის დახმარებით მოამზადა ორი მძიმეწონის მატარებელი. შემდგენლობა ფორმირებულ იქნა ხაშურიდან მოსული ხუთი ჩვეულებრივი მატარებლის ხარჯზე. ორივე მატარებელმა გრაფიკის მიხედვით გაიარა უბანი.

ერთი თვის შემდეგ შერგილაშვილმა დღიურში ჩაწერა: დღეს შეგაჯავე მუშაობის შედეგები. განვლილ 30 დღეში ზესტაფონიდან სამტრედიამდე ჩვენმა ცვლამ გაატარა ათობით მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდა 33.325 ტონა ტვირთი...

ამჟამად როგორც ზესტაფონ - სამტრედიის უბანზე, ისე სამტრედია-ფოთისა და სამტრედია-ბათუმის უბნებზე მცირე წონის არასრულშემადგენლობიანი მატარებლები არ მოძრაობენ, წარმატებით სრულდება მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი.

— ამხანაგო დისპეტჩერო, მძიმე წონის მატარებელი ზუსტად გრაფიკის მიხედვით გავატარე — იტყობინება რიონის სადგურის მორიგე.

— ამხანაგო დისპეტჩერო! — რეკავს ზესტაფონის სადგურის უფროსი გიორგი ცხადაძე, — ვამზადებთ მძიმე წონის შემადგენლობას, გთხოვთ „მწვანე ქუჩას“.

ასეა განუწყვეტლივ. საიდან არ რეკავენ. ყველას უნდა უპასუხო, საზრიანი განკარგულება მისცე. ათობით სადგურის მუშაობას უნდა უხელმძღვანელო, მთელ უბანზე მატარებელთა რიტმული მუშაობა უზრუნველყო. ახეა არის. დისპეტჩერი იაკობ შერგელაშვილი ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც წარმატებით იბრძვის შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის.

ა. კუპუხიძე.

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲖᲔ ᲗᲔᲡᲐᲕᲔ

სიღნაღი. (ტელეფონი). წელს რაიონის კოლმეურნეობებმა უფრო მეტი სილოსი უნდა ჩადონ, ვიდრე შარშან. ამისათვის კი საჭირო მეტი მწვანე მასა. ერთი კვირის წინ დაიწყო ტრიბაანის კოლმეურნეობაში.

ტიბაანელმა კოლმეურნეებმა ათეულობით ჰექტარზე აიღეს ქერის მოსავალი. გასთავისუფლებული ნაკვეთები გაასუფთავეს და დაიწყეს ხვნა. ტრაქტორისტები დ. ციხელაშვილი და ბ. ხატაშვილი „დტ-24“ მარკის ტრაქტორებით ხვნის დავალებას ყოველდღიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

კოლმეურნე ტრაქტორისტმა ხ. მაისაშვილმა პირველმა დაიწყო ნაწვერალზე სიმინდის თესვა. მან ერთ დღეს 24 ჰექტარზე დათესა სასლოსუ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

ტიბაანელმა მექანიზატორებმა გადწყვიტეს წელს მოკლე დროში 300 ჰექტარზე დათესონ სიმინდი ნაწვერალზე და თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 350 ცენტნერი სასილოსე მწვანე მასა.

ი. მესხიაშვილი,
ი. ბალიაშვილი,
სიღნაღის რაიგაზეთ „კოლმეურნის“ განყოფილების გამგეები.

ᲡᲬᲕᲓᲔᲒᲘᲐᲜ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲡ

ᲡᲙᲘᲗᲮᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲒᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲓ

ზესტაფონელმა მეტალურგებმა ოცზე მეტი შენადნობის მიღების პროცესი აითვისეს და დანერგეს. ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის საკვლევ-საცდელი ლაბორატორიის კოლექტივს, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატი დ. ჩიკაშუა ხელმძღვანელობს.

ლაბორატორიამ დაამუშავა თხევადი შენადნობის ფიზიკური სითბოს გამოყენების საკითხი. ღღემდე სილიკომანგანუმს მყარ მდგომარეობაში იყენებენ. მას ადნობენ პირველ საამქროში, აცივებენ და ნატეხებად გადაიქცევ მეორე საამქროში, სადაც შეაქვთ კაზმში ახალი შენადნობის მისაღებად. ეს პროცესი, ბუნებრივია, იწვევს სითბოს უნაყოფოდ დაკარგვას, მოითხოვს დიდ დროს, მუშახელის დასაქმებას, რაც ართულებს ტექნოლოგიურ პროცესს, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, აძვირებს ლითონის თვითღირებულებას.

ლაბორატორიის კოლექტივმა ბეჯითი მუშაობით მიაგნო საკითხის დადებითად გადაწყვეტას. მომავალში სილიკომანგანუმის გადაცემა პირველიდან მეორე საამქროში მოხდება თხევად მდგომარეობაში. ამით დაიზოგება დიდძალი ელექტროენერგია, გამარტივდება და გაიოლდება დნობის ტექნოლოგია, დაჩქარდება დნობის პროცესი, შემსუბუქდება მეტალურგთა შრომა.

ინჟინერ-მეტალურგებმა გ. ხუციშვილმა და ბ. ლომთათიძემ წამოაყენეს საოცნოო წინადადება, რომელიც ეხება საშუალო ნახშირბადიანი შენადნობის რაფინირებას. ლაბორატორია ავტორებთან ერთად აწარმოებს ცდებს წიდის ორჯერადად მოხსნისათვის.

ფეროშენადნობთა ანალიზები უაღრეს სიზუსტეს მოითხოვს. ამიტომ ლაბორატორიაში დაინერგა სპექტრული მეთოდი, რითაც წარმოებს ანალიზები. ეს მეთოდი გაცილებით უშეცდომო, ზუსტი და უტყუარია.

ამჟამად ლაბორატორიის კოლექტივი მუშაობს შენადნობებში ფოსფორის განსაზღვრაზე, რაც ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია მეტალურგიაში, რადგან შენადნობში ფოსფორის რაოდენობა განსაზღვრავს მის ხარისხს. ღირსებას — რაც მცირეა ფოსფორი შენადნობში, მით უფრო მაღალხარისხოვანია იგი.

ლაბორატორიის კოლექტივი პირობას დებს, რომ მეტალურგებთან მჭიდრო კავშირში კვლავაც განაგრძობს ახლის ძიებას, იბრძოლებს მეტალურგიის პროგრესისათვის, ყოველივე სიახლის გაბედულად დანერგვისათვის.

პ. ᲞᲘᲝᲙᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ 1964 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲘ

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა გადწყვიტა წელსვე მიაღწიოს სკამების გამოშვების იმ დონეს, რომელიც 1964 წლისათვის არის გათვალისწინებული, აითვისოს და გამოუშვას კიდევ ოთხი სახის გრეხილი სკამები. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის ბაზაზე.

ამიტომ არის, რომ აქ დაუცხრომლად იღწვიან ტექნიკური პროგრესისათვის.

მეავეჯეებმა საკუთარი ძალებით დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ბევრი ახალი დაზგა-დანადგარი. საღუნავ საამქროში აქამდე მთლიანად ხელის შრომა იყო გაკეთებული. ახლა კი სამუშაოს 80 პროცენტი მექანიზებულია, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

წინათ ავეჯს ხელით, კუსტარულად ლაქავდნენ. ფაბრიკის ინჟინრებმა და მუშებმა შექმნეს სავენტილაციო დანადგარი, რომელიც მექანიზებულად ლაქავს ავეჯს, აუმჯობესებს შეღებვის ხარისხს.

მეავეჯეები მუდამ ახლის ძიებაში არიან, ცდილობენ გაუმჯობესონ წარმოების ტექნოლოგიური პროცესები. ზენიკალ-მედაზგეებმა გ. ყურუაშვილმა, ტ. მიქაბაძემ და რ. გაჩეჩილაძემ დაამზადეს სკამის კუთხედის გამლარავი მოწყობილობა, ხოლო ზენიკლების ა. მესხისა და ი. არევაძის წინადადების განხორციელებით მიდრავლიკური დაზგის წარმადობა 30 პროცენტით გადიდდა.

ფაბრიკის კოლექტივმა თბილისელ ელექტრომავალმშენებელთა მოწოდების პასუხად იკისრა ნახევარი წლის დავალება სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის 24 ივნისისათვის შეასრულოს. ახლა მარელისელი მეავეჯეები თავდადებით შრომობენ პირობის გაადღებისათვის. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

„ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲝ ᲒᲣᲠᲚᲕᲐ“

ნ. კულიჩიხინისა და ბ. ეოზდოეენსკის ბურღვის სახელმძღვანელო, რომელიც „ცოდნამ“ გამოსცა, რამდენადმე ავსებს იმ ხარვეზს, რაც წლების განმავლობაში იყო ამ დარგის ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში. ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ სტუდენტებს, გეოლოგებს, ბურღვის ოსტატებს.

წიგნი ქართულ ენაზე თარგმნა ბურღვის საქმის გამოცდილმა სპეციალისტმა ვ. აბესაძემ. მას ენერგია არ დაუშურებია, რომ დაეძლია მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებები, რაც გამოწვეულია ქართულ ენაზე ამ დარგის ტერმინოლოგიის შეუზღუდულობით. მთარგმნელს კარგად გამოუყენებია ბურღვის არსებული ქართული ტერმინოლოგია და საჭმის ცოდნით, მზრუნველობით გადმოუქართულებია ბურღვის ხელსაწყო-იარაღების, ბურღვის პროცესის ტექნოლოგიის ტერმინები.

აქვე გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა: ჯერ-ერთი, წიგნი ძალიან მცირე ტირაჟით გამოიცა, მეორეც, ბევრი ტექნიკური ტერმინი არაზუსტად არის თარგმნილი, არ არის გამოძებნილი მათი ზუსტი ქართული შესატყვისები, სასურველი იყო აგრეთვე ნაშრომში ასახულიყო ბურღვის საქმეში უკანასკნელ წლებში მოპოვებული მიღწევები.

ინჟინერი ა. ᲑᲣᲠᲯᲜᲐᲫᲔ.

„ᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ“

გამომცემლობა „ცოდნამ“ ქართულ ენაზე გამოსცა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ელიზბარ ცისკარიშვილის წიგნი „ქანების მექანიკა და გვირაბების გამაგრება“.

წიგნი შედგენილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროგრამის შესაბამისად და შეიცავს ორ ნაწილს. პირველ ნაწილში განხილულია ქანების მექანიკის საფუძვლები და მოცემულია სამთო მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემის — სამთო წნევის თეორიის ანალიზი. მეორე ნაწილში აღწერილია გვირაბების გამაგრების თანამედროვე ხერხები და ის მასალები, რომლებსაც გვირაბების სამაგრად იყენებენ. აქვე გადმოცემულია სამაგრი კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდები.

წიგნში ავტორმა გამოიყენა საკუთარი ველების მდიდარი ფაქტიური მასალა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მოცემულია სამთო წნევის თეორიების ანალიზი.

ნაშრომს ზოგიერთი ხარვეზიც აქვს. მეტად შეკუმშულად არის გადმოცემული სამთო წნევის თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო საბჭოთა მკვლევარის კ. რუპენეიტის თეორია. ბეტონის სამაგრის ამოყვანის ტექნოლოგიის აღწერისას მოხსენებული არ არის ამ შრომატევადი პროცესის მექანიზაციის თანამედროვე საშუალებები. კერძოდ, სასურველი იყო ბეტონის ტუმბოს, პნევმატური ბეტონჩაქუჩის „ბეტონის ზარაბანი“ არსებული კონსტრუქციების სარეწველო და საცდელი გამოყენების შედეგების გაზიარება მკითხველისათვის.

ეს ნაკლი ვერ ამცირებს ნაშრომის ღირსებას. ე. ცისკარიშვილის წიგნი „ქანების მექანიკა და გვირაბების გამაგრება“ ქართული ტექნიკური ლიტერატურის მეტად სასარგებლო შენაძენია.

ი. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ს. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ,
ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატები.

**თბილისის მიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის № 2 საამწყობო საამქროს მოწინავე ზენიკალი ს. ეფიმოვი ივნისის პლენუმის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ანაღდებს. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ს.

სიკამაცისა და სიჭაბუკის ფერში

სპორტსმენი შეჯიბრებაში იწრთობა



ბავშვი იყო გურამ მინაშვილი, როცა პირველად ნახა ქალათბურთის თამაში, იგი მოხიბლა საბჭოთა ყაზარის სპორტის დამსახურებულ ოსტატების ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას ვირტუოზულმა თამაშმა. აქედან ჩაენერგა მას ქალათბურთის სიყვარული. საშუალო სკოლის მოსწავლემ დაწყო მუდმივი წვრთნა თბილისის განათლების განყოფილების გუნდში.

დღეს გურამი ტყვიის ბურთის გამოცდილი ოსტატია. იგი შესანიშნავია დაცვაშიც და სწრაფი, შემტევი. ელვისებრია თავდასხმა შიც. მის საოცხოო თამაშს სიყვარულით, მოწონებით ადევნებდნენ თვალყურს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩილის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის სტადიონებზე.

სკოლიდან ცხოვრებაში

ნათელი დღეები

ჯერ კიდევ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა ქეთო ხუბაშვილი, როცა სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დაჰპირდა, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმაში დავიწყებ მუშაობასო.

ასეც მოხდა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ქალიშვილს ძროხები ჩაბარეს მოსავლეად. პირველ ხანებში უჭირდა ქეთოს ძროხების მოვლა და წველა. მაგრამ არასოდეს არ ჩიოდა, არ წუწუნებდა, მხოლოდ ფერმის მუშაკებს მიმართავდა ზოგჯერ დახმარებისათვის.

დღე დღეს მისდევს... ქეთო არ ისვენებს, სწავლობს უფროსებისაგან. მალე ისე კარგად ეუფლება ძროხის წველასა და მოვლა-პატრონობას, რომ თავის ძველ მასწავლებლებსაც კი სჯობნის.

— ნეტავ როდის სძინავს ამ გოგოს, — უკვირთ ფერმაში, სოფელში... ქეთო მუდამ თავის უტყვ „მეგობრებთან“ არის, ხელში ჯაგრისი უჭირავს... „ნიშას“, „ლამაზას“, „წაბლას“ ბეწვი უბრწყინავთ, არც საკვებს აკლებს, წველით კი დღეში ორჯერ წველის. დასრულდა 1957 სასოფლო-სამეურნეო წელი, — პირველი შრომითი წელი კომკავშირელი ქალიშვილის ცხოვრებაში.

ქეთეკან ხუბაშვილმა გადაჭრებით შესრულა გეგმა: 1.400 ლიტრის ნაცვლად ერთ საფურაქე ძროხაზე 2.000 ლიტრი რძე მიიღო.

მაგრამ ქეთო „მაყოფილი მაინც არ არის. მას გვერდში არ უდგანან თანამოლეები. ფერმაში ახალგაზრდები არა ჩანან. მალე ეს მდგომარეობაც გამოსწორდა. ქეთოს მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. ფერმაში სამუშაოდ მოვიდნენ ხუბაშვილის ყოფილ თანაკლასელები ნ. ლიკლიკაძე და გ. ქათამაძე, ნ. მელაშვილი, ვ. ჯაჯანიძე, ჯ. მდივნიშვილი, შ. მეტრეველი.

იმ შემოდგომაზე ქეთო ხუბაშვილი ამხანაგებმა კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, იგი ენერგიულად ჩაუდგა საქმეებში კოლმეურნე ახალგაზრდობას. მისი თაოსნობით ფერმა ძირითადად კომკავშირელებით დაკომპლექტდა და ამიტომ ფერმასაც კომკავშირული უწოდეს.

* * *

1958 წელი დიდი წარმატებით დაამთავრეს ჭაბუკიანელმა ახალგაზრდა მეცხოველეებმა. საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.400 ლიტრის ნაცვლად ქ. ხუბაშვილმა, ნათელა მელაშვილმა, შ. მეტრეველმა, ჯ. მდივნიშვილმა და სხვებმა ს

ყოველი მხრიდან

საბჭოთა კავშირ-განის სავაჭრო ურთიერთობა

აკრა, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს აკრაში წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირ-განის სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

შეთანხმება, რომელიც მიღწეულია ამ მოლაპარაკების დროს ნოტების გაცვლის ფორმით, ქმნის საფუძველს სსრ კავშირისა და განის სავაჭრო ურთიერთობისათვის. შეთანხმება მიზნად ისახავს ამ ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას ორივე ქვეყნის თანასწორობისა და ურთიერთ ხარგებლობის პრინციპებზე.

ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა ლ. ბოლციის პატივსაცემად

ჟენევა, 11 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ სსრ კავშირის დელეგაციის რეზიდენციაში საუზმე გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის დოქტორ ლ. ბოლციის პატივსაცემად.

საუზმეზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მხრივ იყვნენ ო. ვინცერი, გ. ტპლიცი, პ. ფლორინი, გ. კიჩელი, ვ. მაისნერი; სსრ კავშირის დელეგაციის მხრივ — ვ. ა. ზორინი, ა. ა. სმირნოვი, ი. ი. ილიჩოვი, ა. მ. ალექსანდროვი, გ. ი. სლაკინი, ა. გ. კოკალიოვი, ო. პ. სელიანინოვი, ა. ი. ბლატოვი.

საუზმის დროს, რომელიც გულთბილად ვითარდებოდა მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მუშაობის საკითხებზე.

ა. ა. გრომიკოსა და კ. ჰერტერის შეხვედრა

ჟენევა, 11 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო სსრ კავშირის დელეგაციის რეზიდენციაში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კ. ჰერტეს და საუბარი ჰქონდა მასთან ჟენევის თათბირის მუშაობის საკითხებზე.

საუბარს დაესწრნენ ა. ა. სოლდატოვი და ლ. მერრიენტი.

უცხოეთის ქრონიკა

◆ მომდინარე წელს რუმინეთში შექმნილია სასოფლო-საძეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა, საშუალო სასოფლო-საშეურნეო სკოლების, პროფესიული სკოლებისა და მოკლევადიანი პროფესიული კურსების ფართო ქსელი. ათეულ ათასობით გლეხი მეცადინეობს მოკლევადიან სასოფლო-საძეურნეო კურსებზე.

◆ ამას წინათ კალაუტაში გაიხსნა საბჭოთა ლიტერატურის გამოფენა, რომელიც იადოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებამ მოაწყო. გამოფენაზე ფართოდ წარმოდგენილია საბჭოთა ავტორების საუკეთესო წიგნები, რუსული კლასიკის ხელოვნებები, გამოჩენილ საბჭოთა და რუს ინდოლოგთა ნაშუშევრები, ინდოელ მწერლთა წიგნები, რომლებიც თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, საბჭოთა გაზეთები, მრავალი ფოტოსურათი.

◆ როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში გაიმართა საბჭოთა ფილმის „ადამიანის ბედის" განხილვა. ფილმს დაესწრო მისი რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი სერგი ბონდარჩუკი.

◆ პრაღაში ჩავიდა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი პოლ რობსონი. იგი დაესწრება სოციალისტური კულტურის მუშაკთა ყრილობის საბოლოო სხდომას.

◆ როგორც სან-სებასტიანიდან იუწყებიან, უკანასკნელ დღეებში ესპანეთის ხელისუფლებამ დაატყვევრეს 9 კაცი ფურცლების გავრცელებისათვის, რომლებიც მშრომელებს მოუწოდებენ მოაწყონ გაფიცვა ბასკების პროვინციებში.

მთელ მსოფლიოს ქალთა ხმა

ჟენევა, 11 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.) დღეს სსრ კავშირის დელეგაციის საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე ეწვია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დელეგაცია, რათა გადაეცა მისთვის ამ ფედერაციის წერილი ჟენევის თათბირის მონაწილეთა სახელზე.

ქალთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მარი-კლოდ ვაიან-კუტიერე, კატერინა სენონი (საფრანგეთი), მარსელ ლერეა (ბელგია), გელენა ლეფლერე